21/10/2025

MES 6 25 0001378122

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა:
ჯემალ ზოიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა:
ნანა სურამელი - სკოლის დირექტორი
სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა:
სოფიკო ქართველიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა:
ნელი ხორბალაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლა:
დოდო ბეგიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა:
მარინე ბოხუა - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა:
ა)ეთერი ბროლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გაბოშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა:
ა) ნანა სარალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლალი მექერიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა:

ა) დავით ლიპარტელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქრისტინე ძიძიგური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მურჯიკნელი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა:
ა) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გოგსაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლა:
ა) ლიკა ხვედელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ლიპარტელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნატა ბიჭიკაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია მაძღარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა:
ა) ნატო გაბოშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო კვეტენაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 06 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ ბროლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ეთერ ბროლაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასკოლო საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სპორტულ დარბაზში ტარდებოდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი. მიღწეული წარმატებები დადასტურებული იყო მოპოვებული თასებითა და სიგელებით. მძიმე კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სკოლას შეძენილი ჰქონდა თხილამურები და დიდთოვლიანობის დროს, სპორტის პედაგოგის მეთვალყურეობით მოზარდები სწავლობდნენ სრიალს.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ გარკვეულ რეკომენდაციასთან მიმართებით შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადები უკვე დამდგარი იყო და დაინტერესდა, რა ჰქონდა სკოლას შესრულებული, ასევე, დაინტერესდა, რატომ სჭირდებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისთვის ორი წელი.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილი იყო, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლას არ ჰქონდა რიგი საგნების კურიკულუმები და დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით, ასევე, დაინტერესდა რა ვითარება იყო მაძიებელ და მოწვეულ მასწავლებლებთან მიმართებით.

სკოლის დირექტორის, ჯემალ ზოიძის თქმით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული ჰქონდათ, ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის. რაც შეეხებოდა კურიკულუმებს,

დირექტორის თქმით, გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები და გამოასწორეს კურიკულუმებთან დაკავშირებული ხარვეზები. აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, 2025-2026 სასწავლო წელი განახლებული კურიკულუმებით დაიწყო თუ არა სკოლამ.
სკოლის დირექტორის თქმით, ახალი სასწავლო წელი დაიწყეს განახლებული კურიკულუმებით და დამადასტურებელი მტკიცებულებები გადმოგზავნილი ჰქონდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მასწავლებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში, სადაც კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა იყო და გამოცხადებულ ვაკანსიებზე არ იყვნენ დაინტერესებული პირები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლაში არ სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არც ერთი მოსწავლე და წარსულშიც არ ჰქონიათ გამოცდილება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში გადაამზადებდნენ მასწავლებლებს და ამასთანავე, მოაწყობდნენ რ ე ს უ რ ს ო თ ა ხ ს .
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა ვადით ჰყავდა სკოლას დასაქმებული მაძიებელი მასწავლებელი.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მაძიებელ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულებული იყო და ის უკვე აღარ ასწავლიდა სკოლაში. მისი თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, თუმცა ვინაიდან არ იყო დაინტერესებული პირი, საათები გადანაწილდა სხვა მასწავლებლებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოს წევრებისთვის.
სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ნინო ჯახველაძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად ეხებოდა შეფასების რუბრიკებსა და კურიკულუმებს, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა განახლებული და გასწორებული კურიკულუმები, თუმცა, რეკომენდაცია რჩებოდა შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ მათემატიკის კათედრა უფრო აქტიურად მუშაობდა რეალურად, ვიდრე ეს დოკუმენტაციაში იყო წარმოდგენილი, შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, კურიკულუმებში აესახათ ყველა ის აქტივობა, რასაც ახორციელებდა სკოლა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, თეონა შუბლაძემ, დაადასტურა, რომ რეალურად სკოლა ახორციელებდა მრავალფეროვან აქტივობას, თუმცა, აღნიშნული წარმოდგენილი არ იყო დოკუმენტურად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:55
დასრულების დრო - 15:03

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1], მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლას (ს/კ: 247863986) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწყვალთა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწყვალთა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწყვალთა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის ოქტომბერში 3.1 კომპონენტთან მიმართებით თანამშრომლებისათვის ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობების,2027 წლის ოქტომბერში, 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის

უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო 2025 წლის ნოემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა სარალიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა სარალიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი ჰქონდათ კეთილმოწყობილი გარემო. მისი თქმით სკოლის ეზოში მდებარეობდა ორი შენობა, ერთში მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი, ხოლო მეორე იყო დამხმარე შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და საპროექტო ოთახები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კურიკულუმებს ესაჭიროებოდა დახვეწა. მისი თქმით დავალების იდეები კარგი იყო, თუმცა არ ჩანდა პროდუქტი, ასევე, უმჯობესი იქნებოდა რესურსები ყოფილიყო მიზნობრივი და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გამოესწორებინა აღნიშნული.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფიზიკის კვალიფიციური მასწავლებელი.
სკოლის დირექტორმა, ნანა სურამელმა, აღნიშნა, რომ ფიზიკის მასწავლებლის დასაქმების მიზნით გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, თუმცა მოცემული მომენტისთვის ფიზიკას ასწავლიდა მასწავლებელი, რომელიც ჩართული იყო STEM პროექტში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმებს ესაჭიროებოდა რევიზია და დახვეწა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:22
დასრულების დრო - 15:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლას (ს/კ: 232550753) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა N6.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა N6.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა N6.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ნოემბერში, 1-ელ სტანდარტთან და 3.1 კომპონენტთან მიმართებით, ერთწლიან სამოქმდო გეგმაში მიზნის შესრულებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრისა და სკოლის თანამშრომლების კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების (ნასამართლეობის, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლისა“ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების),, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ორსართულიანი კორპუსის ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის შიდა სივრცე, დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრებით, მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილი იყო სასწავლო პროცესისათვის საჭირო სასწავლი რესურსები და თვალსაჩინოებები ასაკისა და თემის შესაბამისად. სკოლა ასევე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა კონკურსსა და პროექტში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მოვლილი და კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რომელი რჩევები და რეკომენდაციები ჰქონდა გათვალისწინებული სკოლას. სკოლის დირექტორმა, სოფიკო ქართველიშვილმა, აღნიშნა, რომ მოაწყეს კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია ცალკე. მისი თქმით, რომელი რეკომენდაციის შესრულებაც 2025 წლის 15 სექტემბრამდე ჰქონდათ განსაზღვრული, გათვალისწინებული ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ამოიკითხა ჩანაწერი, რომ „შეიქმნას დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებები“ და „შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“ და დაინტერესდა, პერსონალის მხარდაჭერის რა პოლიტიკა ჰქონდა სკოლას და რატომ არ ჰქონდა ხარისხის განვითარების დოკუმენტი. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლა იყენებდა ურთიერთდასწრების მექანიზმს, ასევე განვითარებული იყო კრიტიკული მეგობრის მექანიზმი და ხორციელდებოდა სისტემური შეფასება.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული დასტურდებოდა მასწავლებლებთან გასაუბრებით, თუმცა დოკუმენტურად არ იყო წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:41
დასრულების დრო - 15:48

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087523) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლისი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლისი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლისი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ნოემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობის ადაპტირებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხაშურის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ატარებდა მოსწავლეებისა და მასწავლებელთა სასკოლო საგნობრივ კონფერენციებს, აღნიშნულის ფარგლებში მოსწავლეებს უვითარდებოდათ კვლევითი უნარები, ხოლო მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ პრაქტიკებს.

ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, იყო მოვლილი და კეთილმოწყობილი გარემო, მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. ექსპერტმა აქვე დასძინა, რომ სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ორი ლაბორატორია.

ექსპერტის, ირმა ტატიშვილის თქმით, სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა სადემონტაჟო შენობა, რომელიც იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული ჰქონდათ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა ვითარება იყო შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებთან მიმართებით, ასევე, შემოსაზღვრული იყო თუ არა სკოლის ტერიტორიაზე არსებული სადემონტაჟო შენობა.

ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებს დახვდათ ორი სტრატეგიული და ორი სამოქმედო გეგმა. წინა საავტორიზაციოდ სკოლამ შეადგინა ახალი გეგმები, თუმცა, ექსპერტებს არ ჰქონდათ არგუმენტი, თუ რის გამო იყო ამ დოკუმენტებს შორის რადიკალური განსხვავება. სადემონტაჟო შენობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ შენობის ერთ-ერთი კედელი იყო სკოლის მიჯნაზე, ხოლო სკოლის სხვა ტერიტორია იყო სრულად შემოღობილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის მიღება-ჩაბარების აქტი და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები.

ექსპერტის, ირმა ტატიშვილის თქმით, სკოლას არ ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტი, რის გამოც არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ექსპერტის თქმით, სკოლის გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდებოდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, სარგებლობდა თუ არა სკოლა ლიფტით, ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იყო თუ არა ამწოვი კარადა. ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო ლიფტი, თუმცა გამოყენების საჭიროება არ ჰქონდათ.

სკოლის დირექტორის, ნელი ხორბალაძის თქმით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იყო ვინტილაცია, თუმცა არ ჰქონდათ ამწოვი კარადა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:09
დასრულების დრო - 16:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 243874857) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ნოემბერში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები) დამტკიცების, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კათედრის ფუნქციების სკოლის კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის, 2026 წლის ოქტომბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამწოვი კარადისა და სადემონსტრაციო მაგიდის მოწყობის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებდა ორ შენობაში, რომელიც მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში, უნივერსიტეტის ქუჩა N70-ში.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი ჰქონდათ კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებლობა ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიის გამიჯვნის. ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სივრცე, სადაც შეეძლო ბიბლიოთეკის მოწყობა.
საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობასთან მიმართებით. ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლებისა და STEM კლუბი, ასევე ახალი სასწავლო წლიდან იგეგმებოდა ისტორიის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:27
დასრულების დრო - 16:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლას (ს/კ: 240412852) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის ოქტომბერში, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, 2026 წლის ოქტომბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სადემონსტრაციო მაგიდის მოწყობის და ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიის ერთმანეთთან გამიჯვნის, განახლებული აზომვითი ნახაზის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 345. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 345 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 345-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს დაწესებულება ახორციელებდა ორ

მისამართზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდასა და სოფელ დარჩეთში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში.
ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი ჰქონდა კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მჭიდრო კომუნიკაცია მშობლებთან, თემთან და მათთან ერთად იგეგმებოდა სხვადასხვა ღონისძიება, ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის „აწმყო წარსულისგან არის მშობელი მომავლისა“ და სხვა. მისი თქმით, სკოლაში არჩევით საგნად ისწავლებოდა დებატები და ჩართული იყო საპილოტე პროექტში, რომლის ფარგლებშიც ისწავლებოდა სამხედრო საქმე, ტარდებოდა საველე მეცადინეობები და მოსწავლეები სტუმრობდნენ თავდაცვის სამინისტროს ბაზებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში ასახული იყო, რომ სოფელ დარჩეთში მდებარე შენობა არ იყო უსაფრთხო, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევა, რომ ვიდრე აღნიშნული სკოლის ტექნიკური მდგომარეობა არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, 2025-2026 სასწავლო წლიდან დარჩეთის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი განხორციელებულიყო ახლადრეაბილიტირებულ ძირითად შენობაში, პირველ ცვლაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებული იქნებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ სოფელ დარჩეთიდან სოფელ არაშენდის შენობაში მოსწავლეთა გადაყვანასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.
სკოლის დირექტორის, მარინე ბოხუას თქმით, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა სოფელ არაშენდაში მდებარე შენობაში, პირველი ცვლის პირობებში, მისი თქმით, მოსწავლეებს ემსახურებოდათ ტრანსპორტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 345-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:48
დასრულების დრო - 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752544) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 345-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდა; გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდა.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ნოემბერში, სკოლის მოსწავლეების არაშენდის სკოლის შენობაში გადაყვანისა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები, 2026 წლის ოქტომბერში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე